

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“  
მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის  
დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ (შემდგომში „მაუწყებლის“) მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის (შემდგომში „სამსახური“) სტრუქტურას, უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს, აწესრიგებს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;
2. სამსახური წარმოადგენს მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულს;
3. სამსახური თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს მაუწყებელს და ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე;
4. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონებით, მაუწყებლის დებულებით, მაუწყებლის დირექტორის სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე დებულებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით;
5. ამ დებულებით გათვალისწინებული „საბჭო“ არის მაუწყებლის კოლექტიური ორგანო „მმართველი საბჭო“;

**მუხლი 2. სამსახურის მიზანი და ამოცანები**

1. სამსახურის საქმიანობის მიზანია გამართული, ხარისხიანი და შეუფერხებელი მიმდინარე სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის უზრუნველყოფა;
2. **სამსახურის ძირითადი ამოცანებია:**
  - ა). ტელევიზიის მაღალი ხარისხის, შეუფერხებელი მიმდინარე ეთერის უზრუნველყოფა;
  - ბ). რადიოს მაღალი ხარისხის შეუფერხებელი მიმდინარე ეთერის უზრუნველყოფა;
  - გ). მუდმივად განახლებული და ტექნიკურად გამართული ვებ გვერდის უზრუნველყოფა;
  - დ). სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ მიმართულებით სტუდიების, სააპარატოების, ტექნიკისა და აპარატურის წინასწარი გეგმიური ტექნიკური შემოწმება;
  - ე). სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ მიმართულებით სტუდიების, სააპარატოების, ტექნიკისა და აპარატურაში შესაძლო და არსებული ხარვეზების მაქსიმალური გამოვლენა;
  - ვ). სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ მიმართულებით სტუდიების, სააპარატოების, ტექნიკისა და აპარატურაში გამოვლენილი ხარვეზების დროულად აღმოფხვრის უზრუნველყოფა;
  - ზ). მიმდინარე რეჟიმში სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ გადაცემების წინასწარი შემოწმება;
  - თ). სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ გადაცემაში არსებული ხარვეზებისა და ტექნიკურ ხარისხთან შეუსაბამობების გამოვლენა და დროულად გადაწყვეტის უზრუნველყოფა;
  - ი). მაღალი ხარისხის სატელევიზიო ეთერისათვის წინასწარი მომზადების მონიტორინგი და შეუფერხებელი, მაღალი ხარისხის მიმდინარე მაუწყებლობის უზრუნველყოფა;
  - კ). სატელევიზიო ეთერში ხარვეზების, გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროული გამოვლენა და ოპერატიული გამოსწორების უზრუნველყოფა;
  - ლ). მაღალი ხარისხის რადიო ეთერისათვის წინასწარი მომზადების მონიტორინგი;
  - მ). შეუფერხებელი, მაღალი ხარისხის მიმდინარე რადიო ეთერის უზრუნველყოფა და მასში არსებული ხარვეზების, გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროული გამოვლენა და ოპერატიული გამოსწორების უზრუნველყოფა;
  - ნ). ვებ-გვერდზე გასაშვები მასალებისა და პროგრამების წინასწარი მზადყოფნის მონიტორინგი;
  - ო). მიმდინარე რეჟიმში ვებ-გვერდის მუდმივი განახლება ახალი ინფორმაციითა და გადაცემებით;
  - პ). მიმდინარე რეჟიმში ვებ-გვერდის ტექნიკურად გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

**მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა**

სამსახურში დასაქმებულია:

- 1). სამსახურის უფროსი;
- 2). სტუდიებისა და მოძრავი სატელევიზიო სადგურის (მსს) უფროსი რეჟისორი;
- 3) წინასწარი ტექნიკური კონტროლის სპეციალისტი;
- 4). პროდუქციის/გადაცემების წინასწარი ნახვის/ჩაბარების სპეციალისტი;
- 5). სატელევიზიო ეთერის მართვის მენეჯერი;
- 6). რადიო ეთერის მართვის მენეჯერი;
- 7). ვებ-გვერდის მენეჯერი/ადმინისტრატორი;
- 8). ვებ-გვერდის განახლების/მართვის სპეციალისტი (ვებ-რედაქტორი);
- 9). სტუდიებისა და მოძრავი სატელევიზიო სადგურის (მსს) რეჟისორი;
- 10). სტუდიის რეჟისორი;

- 11). ცენტრალური სააპარატოს რეჟისორი;
- 12). ხმის რეჟისორი;
- 13). სტუდიის კომპიუტერის ოპერატორი;
- 14). სტილისტი;
- 15). გრიმიორი.

**მუხლი 4. სამსახურში დასაქმებული პირების მიერ შესასრულებელი სამუშაოები:**

**1. სამსახურის უფროსი:**

- ა). ტელევიზიის, რადიოსა და ინტერნეტის ტექნიკის წინასწარი მონიტორინგის და გამართულობის უზრუნველყოფა;
- ბ). ტელევიზიის რადიოსა და ინტერნეტის გადაცემების წინასწარი შემოწმების უზრუნველყოფის კოორდინაცია;
- გ). ტელევიზიის, რადიოსა და ინტერნეტის გადაცემებში მოწვეული სტუმრებისა და რესპოდენტების წინასწარი მომზადების უზრუნველყოფა;
- დ). ტელევიზიისა და ინტერნეტ გადაცემების სტუდიების, დეკორაციების, დიზაინის მზადყოფნის წინასწარი შემოწმების უზრუნველყოფა;
- ე). ტელევიზიის საეთერო ბადის გენერალური გეგმის მიხედვით ყოველდღიურად პროგრამების ბადეში დროულად, მაღალი ხარისხით განთავსების უზრუნველყოფა;
- ვ). რადიოს საეთერო ბადის გენერალური გეგმის მიხედვით ყოველდღიურად პროგრამების ბადეში დროულად, მაღალი ხარისხით განთავსების უზრუნველყოფა;
- ზ). ვებ-გვერდის საეთერო ბადის გენერალური გეგმის მიხედვით პროგრამების დროული და ხარისხიანი ატვირთვის უზრუნველყოფა;
- თ). სატელევიზიო, რადიოსა და ინტერნეტის მიმდინარე ეთერში ხარვეზების მაქსიმალური გამოვლენა, გამოვლენილ ხარვეზებზე შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების დაგეგმვის სამუშაოების კოორდინაცია და გამოვლენილი ხარვეზების რეაგირების ღონისძიებების ორგანიზება;
- ი). გაუთვალისწინებელ შემთხვევებში ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება;
- კ). სატელევიზიო და რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის განვითარების სამსახურების მიერ დასახული/განსაზღვრული ამოცანების/მითითებების შესრულების კოორდინაცია/უზრუნველყოფა;
- ლ). ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სამსახურში (სტრუქტურულ ერთეულში) დასაქმებულ პირებს;
- მ). მაუწყებლის დირექტორის და მისი მოადგილეების სამსახურებრივი მითითებების შესრულება;

**2. სტუდიებისა და მომრავი სატელევიზიო სადგურის (მსს) უფროსი რეჟისორი;**

- ა). უზრუნველყოს სააპარატოს (სტუდიაში ან მომრავი სატელევიზიო სადგურით) მომზადება გადაღების ან პირდაპირი ეთერის წინ;
- ბ). პროგრამის ჩაწერის, ან პირდაპირ ეთერში გადაცემის დროს - წინასწარ ეცნობა და ითანხმებს სასცენარო გეგმას;
- გ). სასცენარო გეგმას აცნობს სტუდიაში მყოფ ყველა დასაქმებულს;
- დ). პასუხისმგებელი პირებისაგან მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა ტექნიკური თუ ადამიანური რესურსების მზადყოფნის შესახებ;
- ე). უზრუნველყოს პროცესის გამართული წარმოება (მათ შორის: საჭირო დეკორაციის დაყენებაზე, სამკერდე მიკროფონებისა და მიმაგრებული ყურსასმენების გამართულ მუშაობის გადამოწმება, წამყვანის მზადყოფნისა და სხვა ჩართვაში მონაწილე პირების მზადყოფნის გადამოწმება);
- ვ). დააფიქსიროს/აღრიცხოს პროგრამის გადაღების, ან პირდაპირ ეთერში გაშვებისას გამოვლენილი ხარვეზები და პერიოდულად წარმოადგინოს მათი აღმოფხვრის გზები;
- ზ). კოორდინაცია გაუწიოს სატელევიზიო აპარატურის სწორ ექსპლუატაციას (ტექნიკური ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ფაქტი დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს);
- თ). ხარისხიანად განახორციელოს პროგრამების სატელევიზიო ეთერში განთავსება მასტერ კონტროლის სააპარატო ბლოკიდან;
- ი). წინასწარ გაეცნოს დღის პროგრამულ განრიგს, მათ შორის რეკლამების, პრომოუშენის რგოლებისა და ანონსების განრიგს. განრიგში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბადის მართვის მენეჯერს;
- კ). წინასწარ შეამოწმოს ეთერში განსათავსებელი, დღის პროგრამული განრიგით გათვალისწინებული აუდიო-ვიდეო ვიზუალური პროდუქციის მზადყოფნა და ხარისხი. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სუბიექტ(ებ)ს;
- ლ). განრიგიდან ამოიღოს პროგრამა, რომელსაც გააჩნია ხარვეზი და მიზანშეუწონელია მისი ეთერში გაშვება. პროგრამის განრიგიდან ამოღება დაუყოვნებლივ აცნობოს ბადის მართვის მენეჯერს, სატელევიზიო განვითარების სამსახურის უფროსს და მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსს;
- მ). უზრუნველყოს ვიდეოსამიქშერო პულტის, ხმის პულტის, მასტერ კონტროლის კომპიუტერული პროგრამისა და ვიდეოსიგნალის (ასევე ტიტრების) გამშვები მოსტების მართვა, ხარისხიანი, დაბალანსებული გამოსახულებისა და ხმის მიღება და ეთერში გაშვება;
- ნ). პროგრამებს შორის განათავსოს სათანადო ვიდეოტიტრები;
- ო). პირდაპირ ეთერში განსათავსებელი გადაცემების დაწყებისა და დასრულების დროს იმოქმედოს გადაცემის რეჟისორთან ან გადაცემაზე პასუხისმგებელ სხვა პირთან შეთანხმებით;
- პ). საჭიროების შემთხვევაში ეთერში განათავსოს ტიტრი (ე.წ. „მორბენალი სტრიქონი“);
- ჟ). პროგრამული განრიგის გაუთვალისწინებელი ცვლილების დროს ეთერის მექანიკურად შევსებისათვის გამოიყენოს ბადის მართვის მენეჯერთან წინასწარ შეთანხმებული ვიდეოპროდუქტი (ანონსი, პრომოუშენის რგოლი, სოციალური რეკლამის რგოლი, მუსიკალური კლიპი, საარქივო პროგრამა ან სხვა);
- რ). პროგრამული განრიგის (საეთერო ბადის) ცვლილება (სპეციალური საინფორმაციო გამოშვების, ან სხვა პროგრამის ეთერში გაშვება, განრიგით გათვალისწინებული პროგრამის ამოღება) განახორციელოს დირექტორის, მოადგილეების, სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსის, მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსის და ბადის მართვის მენეჯერის მითითებით (თანხმობით);
- ს). პროგრამული განრიგის საგანგებო ცვლილება (განრიგით გათვალისწინებული პროგრამის საგანგებოდ შეწყვეტა, განრიგით გაუთვალისწინებელი საგანგებო პროგრამის ეთერში გაშვება, საგანგებო განცხადების ტიტრის სახით გაშვება) განახორციელოს დირექტორის ან მოადგილეების მითითებით და ბადის მართვის მენეჯერის თანხმობით;
- ტ). ცვლაში ყოფნისას არ მიატოვოს მასტერ კონტროლის სააპარატო ბლოკი. ცვლის ამოწურვის, ან შესვენების დროს სააპარატოს მართვა გადააბაროს ცენტრალური სააპარატოს სხვა რეჟისორს;
- უ). კოორდინაცია გაუწიოს ეთერში განთავსებისას გამოვლენილი ხარვეზების აღრიცხვას და წარმოადგინოს მათი აღმოფხვრის გზები;

- ფ). კოორდინაცია გაუწიოს მაუწყებლის სატელევიზიო სიგნალის ხარისხს კონტროლს და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს;
- ქ). კოორდინაცია გაუწიოს დღის ბოლოს სპეციალურ ჟურნალის შევსებას, სადაც აღირიცხება პროგრამულ განრიგთან დაკავშირებული ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზები, რომელსაც ადგილი ჰქონდა დღის განმავლობაში;
- ღ). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

**3. წინასწარი ტექნიკური კონტროლის სპეციალისტი:**

- ა). როგორც ტელევიზიის ასევე რადიოსა და ინტერნეტის სტუდიების, სააპარატოებისა და აპარატურის წინასწარი ტექნიკური კონტროლის გეგმების შედგენა (კონკრეტულ აპარატურას როდის და რა პერიოდულობით ამოწმებს);
- ბ). ყოველი დღის ბოლოს ტელევიზიისა და რადიოს სტუდიების, სააპარატოსა და აპარატურის ტექნიკური დათვალიერება;
- გ). ყოველი დღის ბოლოს ინტერნეტ მაუწყებლობის (ვებ-გვერდის) გამართული ტექნიკური ფუნქციონირების შემოწმება;
- დ). ტექნიკის შესაძლო დაზიანებების წინასწარი შეფასება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის უზრუნველყოფა;
- ე). მიმდინარე რეჟიმში ტექნიკაში არსებული ხარვეზებისა და დაზიანებების მაქსიმალური გამოვლენა;
- ვ). ტექნიკაში ყველაზე ხშირად გამოვლენილი ხარვეზების დაფიქსირება და მათი გადაჭრის საერთო ღონისძიებების დასახვის თაობაზე ამოცანის დასმა;
- ზ). გამოვლენილ, არსებულ და შესაძლო ხარვეზებსა და დაზიანებებზე შესაბამისი სამსახურების დროული ინფორმირება (შესაძლებლობის შემთხვევაში შეკეთება);
- თ). საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული ტექნიკის შემქმნის ანდა ექსპლოატაციიდან ამოღების საკითხის დასმა;
- ი). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

**4. პროდუქციის/გადაცემ(ებ)ის წინასწარი ნახვის/ჩაბარების სპეციალისტი:**

- ა). სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ გადაცემებისათვის ტექნიკური სტანდარტებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა;
- ბ). განსაზღვრული სტანდარტებისა და კრიტერიუმების შესახებ ავტორების, რედაქტორებისა და პროდიუსერების ინფორმირება;
- გ). ტექნიკური სტანდარტების პეროიდული განახლება გამოვლენილი საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით;
- დ). სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ მიმართულებით გადაცემების წინასწარი ნახვის გეგმების შედგენა;
- ე). გადაცემების მათთვის განსაზღვრულ დროს მიღების უზრუნველყოფა და გადახრების შემთხვევაში შესაბამისი პირების ინფორმირება;
- ვ). ჩაბარებული გადაცემების წინასწარი ნახვა მიმდინარე რეჟიმში დადგენილი გეგმების მიხედვით;
- ზ). სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ გადაცემებში არსებული ტექნიკური ხარვეზების და სტანდარტებიდან გადახრების სიის მომზადება;
- თ). სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ გადაცემებში აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზებისა და გადახრების თაობაზე შესაბამისი მიმართულებების დროული ინფორმირება და გამოსწორების უზრუნველყოფა;
- ი). გამოსწორებული ხარვეზების ნახვა და გადაცემების ტელე, რადიო და ინტერნეტ ეთერში გაშვების შესახებ თანხმობის გაცემა;
- კ). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

**5. სატელევიზიო ეთერის მართვის მენეჯერი:**

- ა). ტელევიზიის ცენტრალური სააპარატოს გამართული ფუნქციონირების მონიტორინგი;
- ბ). სატელევიზიო სტუდიების დიზაინის, დეკორაციების მზადყოფნის წინასწარი შემოწმება;
- გ). სატელევიზიო გადაცემების წამყვანების ჩაცმისა და მათი ვიზუალის დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება;
- დ). სატელევიზიო რეჟისორების, ხმის რეჟისორების, სტუდიის ოპერატორების მზადყოფნის შემოწმება;
- ე). სატელევიზიო გადაცემებში მოწვეული სტუმრებისა და რესპოდენტების საეთეროდ მომზადების უზრუნველყოფა;
- ვ). საეთერო ბადის გენერალური გეგმის მიხედვით ტელევიზიის ყოველდღიურ საეთერო ბადეში პროგრამების დროული განთავსების კოორდინაცია;
- ზ). საეთერო ბადეში განთავსებული პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და გადახრების შემთხვევაში მისი გამოსწორების უზრუნველყოფა (ხარვეზების დროული გამოვლენა/აღრიცხვა და შესაძლებლობის შემთხვევაში დროული გამოსწორება);
- თ). მიმდინარე სატელევიზიო ეთერში გამოსახულების ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- ი). მიმდინარე სატელევიზიო ეთერში ტექნიკურად გამართული და დროული პირდაპირი ჩართვებისათვის საჭირო პროცესების კოორდინაცია;
- კ). მიმდინარე ეთერში გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროული გამოვლენა და გადაწყვეტილებების ოპერატიული მიღება და განხორციელება;
- ლ). მიმდინარე ეთერში ხშირად წარმოქმნილი ხარვეზების დაფიქსირება და შესაბამისი მიმართულებების ინფორმირება;
- მ). საეთერო დღის ბოლოს ეთერში არსებული ხარვეზების სრული გამოვლენა/დაფიქსირება, ანალიზი და რეაგირების გზების დასახვა შემდგომი ეთერებისათვის;
- ნ). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

**6. რადიო ეთერის მართვის მენეჯერი:**

- ა). რადიოს ცენტრალური სააპარატოს გამართული ფუნქციონირების მონიტორინგი;
- ბ). რადიოს გადაცემების წამყვანების, ხმის რეჟისორებისა და ოპერატორების მზადყოფნის წინასწარი შემოწმება;
- გ). რადიოს გადაცემებში მოწვეული სტუმრებისა და რესპოდენტების საეთეროდ მომზადების უზრუნველყოფა;
- დ). რადიოს საეთერო ბადის გენერალური გეგმის მიხედვით ყოველდღიურ საეთერო ბადეში პროგრამების დროულ განთავსებაში მონაწილეობა/კოორდინაცია;
- ე). რადიოს საეთერო ბადეში არსებული ტექნიკური ხარვეზების დროული გამოვლენა და გამოსწორების უზრუნველყოფა;
- ვ). მიმდინარე რადიო ეთერში ხმის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და გადახრების შემთხვევაში გამოსწორების უზრუნველყოფა;
- ზ). მიმდინარე რადიო ეთერში ტექნიკურად გამართული და დროული ჩართვებისათვის საჭირო პროცესების კოორდინაცია;
- თ). მიმდინარე რადიო ეთერში გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროული გამოვლენა;

- ი). მიმდინარე ეთერში გაუთვალისწინებელი შემთხვევებისა და ხარვეზების შემთხვევაში გადაწყვეტილებების ოპერატიული მიღება და განხორციელება;
- კ). საეთერო დღის ბოლოს რადიო ეთერში არსებული ხარვეზების სრული გამოვლენა (ხარვეზების აღრიცხვა), ანალიზი და რეაგირების გზების დასახვა შემდგომი ეთერებისათვის;
- ლ). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

7. ვებ-გვერდის მენეჯერი/ადმინისტრატორი:

- ა). ვებ-გვერდზე (<http://ajaratv.ge>; <http://radioajara.ge>) ასატვირთი პროგრამებისა და მასალების დროული მოგროვებისა და მათი ხარისხის შემოწმების კოორდინაცია;
- ბ). ვებ-გვერდზე განსათავსებელ პროგრამებსა და მასალებში აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორების უზრუნველყოფის კოორდინაცია;
- გ). გენერალური საეთერო ბადის მიხედვით ვებ-გვერდზე პროგრამებისა და მასალების შესაბამის განსაზღვრულ დროებში ატვირთვის კოორდინაცია;
- დ). ინტერნეტ გადაცემებში მოწვეული სტუმრების ეთერისათვის წინასწარი მომზადება;
- ე). ინტერნეტ გადაცემების წამყვანების, რეჟისორებისა და ოპერატორების წინასწარი მზადყოფნის მონიტორინგი;
- ვ). ინტერნეტ გადაცემებში გამოსახულებისა და ხმის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- ზ). ვებ-გვერდზე გადაცემებისა და მასალების ატვირთვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების დროული გადაწყვეტის უზრუნველყოფა;
- თ). ვებ-გვერდის ტექნიკური გამართულობის წინასწარი შემოწმება;
- ი). მიმდინარე რეჟიმში ვებ-გვერდის ტექნიკური ხარვეზების, გაუმართავობის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა/აღრიცხვა;
- კ). ვებ-გვერდის ფუნქციონირებაში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზების დროული გადაწყვეტის უზრუნველყოფა;
- ლ). პასუხისმგებელია ატვირთული მასალის შესაბამისობასა და სიზუსტეზე;
- მ). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

8. ვებ-გვერდის განახლების/მართვის სპეციალისტი (ვებ-რედაქტორი):

- ა). ვებ-გვერდზე ასატვირთი პროგრამებისა და მასალების დროული მოგროვება და მათი ხარისხის შემოწმება;
- ბ). ვებ-გვერდზე განსათავსებელ პროგრამებსა და მასალებში აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორების უზრუნველყოფა;
- გ). გენერალური საეთერო ბადის მიხედვით ვებ-გვერდზე პროგრამებისა და მასალების შესაბამის განსაზღვრულ დროებში ატვირთვა (მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა);
- დ). მიმდინარე რეჟიმში ვებ-გვერდის ტექნიკური ხარვეზების, გაუმართავობის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა/აღრიცხვა;
- ე). მოპოვებული ინფორმაციის (ვებ-გვერდზე ასატვირთის) ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე თარგმან და ვებ-გვერდზე განთავსება;
- ვ). უზრუნველყოფს ატვირთული მასალის შესაბამისობასა და სიზუსტეს;
- ზ). სამსახურის უფროსისა და ვებ-გვერდის მენეჯერის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

9. სტუდიებისა და მოძრავი სატელევიზიო სადგურის (მსს) რეჟისორი:

- ა). უზრუნველყოს სააპარატოს (სტუდიაში ან მოძრავი სატელევიზიო სადგურით) მომზადება გადაღების ან პირდაპირი ეთერის წინ;
- ბ). პროგრამის ჩაწერის, ან პირდაპირ ეთერში გადაცემის დროს - წინასწარ ეცნობა და ითანხმებს სასცენარო გეგმას;
- გ). სასცენარო გეგმას აცნობს სტუდიაში მყოფ ყველა დასაქმებულს;
- დ). პასუხისმგებელი პირებისაგან მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა ტექნიკური თუ ადამიანური რესურსების მზადყოფნის შესახებ;
- ე). უზრუნველყოს პროცესის გამართული წარმოება (მათ შორის: საჭირო დეკორაციის დაყენებაზე, სამკერდე მიკროფონებისა და მიმაგრებული ყურსასმენების გამართულ მუშაობის გადამოწმება, წამყვანის მზადყოფნისა და სხვა ჩართვაში მონაწილე პირების მზადყოფნის გადამოწმება);
- ვ). დააფიქსიროს/აღრიცხოს პროგრამის გადაღების, ან პირდაპირ ეთერში გაშვებისას გამოვლენილი ხარვეზები და პერიოდულად წარმოადგინოს მათი აღმოფხვრის გზები;
- ზ). კოორდინაცია გაუწიოს სატელევიზიო აპარატურის სწორ ექსპლუატაციას (ტექნიკური ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ფაქტი დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს);
- თ). ხარისხიანად განახორციელოს პროგრამების სატელევიზიო ეთერში განთავსება მასტერ კონტროლის სააპარატო ბლოკიდან;
- ი). წინასწარ გაეცნოს დღის პროგრამულ განრიგს, მათ შორის რეკლამების, პრომოუშენის რგოლებისა და ანონსების განრიგს. განრიგში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბადის მართვის მენეჯერს;
- კ). წინასწარ შეამოწმოს ეთერში განსათავსებელი, დღის პროგრამული განრიგით გათვალისწინებული აუდიო-ვიდეო ვიზუალური პროდუქციის მზადყოფნა და ხარისხი. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სუბიექტ(ებ)ს;
- ლ). განრიგიდან ამოიღოს პროგრამა, რომელსაც გააჩნია ხარვეზი და მიზანშეუწონელია მისი ეთერში გაშვება. პროგრამის განრიგიდან ამოღება დაუყოვნებლივ აცნობოს ბადის მართვის მენეჯერს, სატელევიზიო განვითარების სამსახურის უფროსს და მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსს;
- მ). უზრუნველყოს ვიდეოსამიქსერო პულტის, ხმის პულტის, მასტერ კონტროლის კომპიუტერული პროგრამისა და ვიდეოსიგნალის (ასევე ტიტრების) გამშვები პოსტების მართვა, ხარისხიანი, დაბალანსებული გამოსახულებისა და ხმის მიღება და ეთერში გაშვება;
- ნ). პროგრამებს შორის განათავსოს სათანადო ვიდეოტიხრები;
- ო). პირდაპირ ეთერში განსათავსებელი გადაცემების დაწყებისა და დასრულების დროს იმოქმედოს გადაცემის რეჟისორთან ან გადაცემაზე პასუხისმგებელ სხვა პირთან შეთანხმებით;
- პ). საჭიროების შემთხვევაში ეთერში განათავსოს ტიტრი (ე. წ. „მორბენალი სტრიქონი“);
- ჟ). პროგრამული განრიგის გაუთვალისწინებელი ცვლილების დროს ეთერის მექანიკურად შევსებისათვის გამოიყენოს ბადის მართვის მენეჯერთან წინასწარ შეთანხმებული ვიდეოპროდუქტი (ანონსი, პრომოუშენის რგოლი, სოციალური რეკლამის რგოლი, მუსიკალური კლიპი, საარქივო პროგრამა ან სხვა);
- რ). პროგრამული განრიგის (საეთერო ბადის) ცვლილება (სპეციალური საინფორმაციო გამოშვების, ან სხვა პროგრამის ეთერში გაშვება, განრიგით გათვალისწინებული პროგრამის ამოღება) განახორციელოს დირექტორის, მოადგილეების, სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსის, მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსის და ბადის მართვის მენეჯერის მითითებით (თანხმობით);

- ს). პროგრამული განრიგის საგანგებო ცვლილება (განრიგით გათვალისწინებული პროგრამის საგანგებოდ შეწყვეტა, განრიგით გაუთვალისწინებელი საგანგებო პროგრამის ეთერში გაშვება, საგანგებო განცხადების ტიტრის სახით გაშვება) განახორციელოს დირექტორის ან მოადგილეების მითითებით და ზადის მართვის მენეჯერის თანხმობით;
- ტ). ცვლაში ყოფნისას არ მიატოვოს მასტერ კონტროლის სააპარატო ბლოკი. ცვლის ამოწურვის, ან შესვენების დროს სააპარატოს მართვა გადააბაროს ცენტრალური სააპარატოს სხვა რეჟისორს;
- უ). კოორდინაცია გაუწიოს ეთერში განთავსებისას გამოვლენილი ხარვეზების აღრიცხვას და წარმოადგინოს მათი აღმოფხვრის გზები;
- ფ). კოორდინაცია გაუწიოს მათემატიკის სატელევიზიო სიგნალის ხარისხს კონტროლს და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს;
- ქ). კოორდინაცია გაუწიოს დღის ბოლოს სპეციალურ ჟურნალის შევსებას, სადაც აღრიცხება პროგრამულ განრიგთან დაკავშირებული ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზები, რომელსაც ადგილი ჰქონდა დღის განმავლობაში;
- ღ). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

**10. სტუდიის რეჟისორი:**

- ა). წარმართავს სტუდიის მუშაობას (მუშაობს საეთერო პულტთან, ხელმძღვანელობს სტუდიის მთელ პერსონალს პირდაპირი ეთერის დროს);
- ბ). წინასწარ ეცნობა საინფორმაციო გამოშვების და პირდაპირი ეთერის ფორმატს სხვა გადაცემების სასცენარო გეგმას და უზრუნველყოფს სცენარის მიხედვით გადაცემების მსვლელობას (სასცენარო გეგმას აცნობს სტუდიაში მყოფ ყველა დასაქმებულს);
- გ). კოორდინირებულად (შეთანხმებულად) მუშაობს საინფორმაციო გამოშვებისა და სხვა გადაცემების პასუხისმგებელ პირებთან;
- დ). წარმართავს (კოორდინაციას უწევს) სტუდიის ოპერატორების, ხმის რეჟისორების და სტუდიის ინჟინრების გამართულ მუშაობას;
- ე). პირდაპირი ეთერის დროს ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში ღებულობს გონივრულ გადაწყვეტილებას შექმნილი მდგომარეობის განსამუხტად;
- ვ). ხელმძღვანელობს სატელევიზიო აპარატურის სწორი ექსპლუატაცია (ტექნიკური ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ფაქტი დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს);
- ზ). უზრუნველყოფს სპეციალურ ჟურნალის შევსებას, სადაც აღრიცხება პროგრამულ განრიგთან დაკავშირებული ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზები, რომელსაც ადგილი ჰქონდა დღის/ცვლის განმავლობაში;
- თ). კონტროლს უწევს სააპარატოში მყოფი სხვა დასაქმებულების ვალდებულებების ჯეროვან/კეთილსინდისიერ შესრულებას;
- ი). კონტროლს უწევს სტუდიაში ანდა მაუწყებელში დასაქმებულ და მოწვეული სტუმრებისა მართლზომიერ გადაადგილებას სტუდიის შიგნით (მისი ნებართვით ხორციელდება სტუდიაში ადამიანების გადაადგილება, მიუხედავად მათი სტატუსისა);
- კ). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

**11. ცენტრალური სააპარატოს რეჟისორი:**

- ა). უზრუნველყოფს პროგრამების სატელევიზიო ეთერში განთავსებას მასტერ კონტროლის სააპარატო ბლოკიდან;
- ბ). წინასწარ ეცნობა დღის/ცვლის პროგრამულ განრიგს, მათ შორის რეკლამების, პრომოუშენის რგოლებისა და ანონსების განრიგს. განრიგში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ზადის მართვის მენეჯერს;
- გ). წინასწარ შეამოწმოს ეთერში განთავსებული, დღის პროგრამული განრიგით გათვალისწინებული ვიდეოპროდუქციის მზადყოფნა და ხარისხი. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს პროგრამის მენეჯერს;
- დ). განრიგიდან ამოიღოს პროგრამა, რომელსაც გააჩნია ხარვეზი და მიზანშეუწონელია მისი ეთერში გაშვება. პროგრამის განრიგიდან ამოღება დაუყოვნებლივ აცნობოს ზადის მართვის მენეჯერს, სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსს და მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსს;
- ე). უზრუნველყოფს ვიდეოსამიქშერო პულტის, ხმის პულტის, მასტერ კონტროლის კომპიუტერული პროგრამისა და ვიდეოსიგნალის (ასევე ტიტრების) გამშვები პოსტების მართვა, ხარისხიანი, დაბალანსებული გამოსახულებისა და ხმის მიღება და ეთერში გაშვება;
- ვ). პროგრამებს შორის ანათავსებს სათანადო (შეთანხმებულ) ვიდეოტიტრებს;
- ზ). პირდაპირ ეთერის გადაცემების დაწყებისა და დასრულების დროს იმოქმედოს მსს-ს რეჟისორთან ანდა გადაცემაზე პასუხისმგებელ სხვა პირთან შეთანხმებით;
- თ). საჭიროების შემთხვევაში ეთერში განთავსოს ტიტრი (ე. წ. „მორბენალი სტრიქონი“);
- ი). პროგრამული განრიგის გაუთვალისწინებელი ცვლილების დროს ეთერის მექანიკურად შევსებისათვის გამოიყენოს საეთერო ზადის მართვის მენეჯერთან წინასწარ შეთანხმებული ვიდეოპროდუქტი (ანონსი, პრომოუშენის რგოლი, სოციალური რეკლამის რგოლი, მუსიკალური კლიპი, საარქივო პროგრამა ან სხვა);
- კ). პროგრამულ განრიგში/საეთერო ზადეში ცვლილებას (სპეციალური საინფორმაციო გამოშვების, ან სხვა პროგრამის ეთერში გაშვება, განრიგით გათვალისწინებული პროგრამის ამოღება) ახორციელებს დირექტორის, სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსის ან საეთერო ზადის მართვის მენეჯერის მითითებით;
- ლ). პროგრამული განრიგის საგანგებო ცვლილება (განრიგით გათვალისწინებული პროგრამის საგანგებოდ შეწყვეტა, განრიგით გაუთვალისწინებელი საგანგებო პროგრამის ეთერში გაშვება, საგანგებო განცხადების ტიტრის სახით გაშვება) განახორციელოს მხოლოდ დირექტორის, ან მოადგილეების მითითებით და სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსის თანხმობით;
- მ). ცვლაში ყოფნისას არ მიატოვოს მასტერ კონტროლის სააპარატო ბლოკი. ცვლის ამოწურვის, ან შესვენების დროს სააპარატოს მართვა გადააბაროს ცენტრალური სააპარატოს სხვა რეჟისორს, ან ხელმძღვანელის (დირექტორი, მოადგილეები, სატელევიზიო განვითარების სამსახურის უფროსი, მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურის უფროსი, ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) უშუალო მითითებით გამოყოფილ პირს. ხანმოკლე, 5 წუთიანი შესვენებისას, თუ ამ პერიოდში არ ხდება პროგრამის დასრულება და მომდევნო პროგრამის დაწყება, დასაშვებია მეთვალყურეობა გადააბაროს ასევე საეთერო ზადის მართვის მენეჯერს, ან ინჟინერს;
- ნ). აღრიცხავს/აფიქსირებს პროგრამების ეთერში განთავსებისას გამოვლენილი ხარვეზებს;
- ო). თვალყურს ადევნებს აჭარის ტელევიზიის სიგნალს, რომელიც მიღებულია ანტენით, თანამგზავრული მიმდებით, ან საკაბელო ქსელით - ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს და ახორციელებს მათ აღრიცხვა/დაფიქსირებას;

- პ). დღის/ცვლის ბოლოს სპეციალურ ჟურნალში აღრიცხავს პროგრამულ განრიგთან დაკავშირებული ტექნიკური და შინაარსობრივ ხარვეზებს;
- ჟ). სისტემატიურად ეცნობა პროგრამების ეთერში განთავსებისათვის საჭირო აპარატურისა და კომპიუტერული პროგრამების შესაძლებლობებს;
- რ). უზრუნველყოფს სატელევიზიო აპარატურის სწორი ექსპლუატაციას;
- ს). ასრულებს სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებებს;

**12. ხმის რეჟისორი:**

- ა). ახორციელებს ხმის ჩაწერას, მის მონტაჟს და პირდაპირ ეთერში გაშვებას;
- ბ). უზრუნველყოფს ხმის პულტის მართვას ხარისხიანი (დაბალანსებული) ხმის მისაღებად;
- გ). ხარისხიანი ხმის უზრუნველსაყოფად ამზადებს შესაბამის აპარატურას და მოწყობილობებს (ხმის პულტს და მიკროფონებს) და წინასწარ ამოწმებს მათ ტექნიკურ გამართულობას და კომუტაციას;
- დ). უზრუნველყოფს (პასუხისმგებელია) ხმის ხარისხიან მიწოდებას პირდაპირი ჩართვებისას;
- ე). უზრუნველყოფს სამკვრედ მიკროფონებისა და ყურსასმენების მიმაგრებას გადაცემაში მონაწილე პირებისთვის;
- ვ). უზრუნველყოფს რეჟისორის, პროდიუსერის, წამყვანისა და გადაცემის მომზადებაში მონაწილე სხვა პირების აუდიოკავშირს;
- ზ). დააფიქსიროს ხმის ჩაწერის, ხმის მონტაჟისა და ხმის პირდაპირ ეთერში გაშვებისას გამოვლენილი ხარვეზები და წარმოადგინოს მათი აღმოფხვრის გზები;
- თ). სისტემატიურად ეცნობა ხმის ჩაწერის, ხმის მონტაჟისა და ხმის ეთერში განთავსებისათვის საჭირო აპარატურისა და კომპიუტერული პროგრამების შესაძლებლობებს;
- ი). უზრუნველყოფს სატელევიზიო აპარატურის სწორი ექსპლუატაცია (ტექნიკური ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ფაქტი დაუყოვნებლივ დააფიქსიროს/აღრიცხოს და აცნობოს ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს);
- კ). პროგრამის სტუდიაში (ან მოძრავი სატელევიზიო სადგურით) ჩაწერის, ან პირდაპირ ეთერში გადაცემის დროს - წინასწარ ეცნობა სასცენარო გეგმას;
- ლ). ასრულებს რეჟისორის სამსახურებრივი მითითებების;

**13. სტუდიის კომპიუტერის ოპერატორი:**

- ა). უზრუნველყოფს ტიტრების მომზადება ეთერში განთავსების მიზნით;
- ბ). სტუდიაში ანდა მოძრავი სატელევიზიო სადგურით ჩაწერის, ან პირდაპირ ეთერში გადაცემის დროს - წინასწარ ეცნობა სასცენარო გეგმას, გადაცემაში განსათავსებელ ტიტრებისა და წამყვანის ტექსტს, გრაფიკული ტიტრების, ასევე წამყვან(ებ)ისთვის ელექტრონული სუფლიორით ტექსტის ატარების უზრუნველსაყოფად წინასწარ ამზადებს შესაბამის მუშა სადგურს, ამოწმებს მისი ტექნიკური გამართულობას და კომუტაციას;
- გ). მოამზადოს გრაფიკული ტიტრები სცენარის მიხედვით, გამოავლინოს და გამოასწოროს ეთერში განსათავსებელი ტექსტის გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომები;
- დ). გადაღების ან პირდაპირი ეთერის დროს უზრუნველყოფს პროგრამულ გამოსახულებაზე ტიტრის განთავსებას სცენარის მიხედვით;
- ე). უზრუნველყოფს ელექტრონული სუფლიორით წამყვან(ებ)ისთვის ტექსტის ატარება სცენარის მიხედვით;
- ვ). პირდაპირ ეთერში სცენარის საგანგებოდ შეცვლის შემთხვევაში ასრულებს რეჟისორის მითითებებს;
- ზ). აფიქსირებს/აღრიცხავს ტიტრების ეთერში განთავსებისას და ელექტრონული სუფლიორით სარგებლობისას გამოვლენილი ხარვეზების (ტექნიკური ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ფაქტი დაუყოვნებლივ აცნობოს ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს);
- თ). უზრუნველყოფს ტექნიკური აპარატურის სწორი ექსპლუატაციას;
- ი). სისტემატიურად ეცნობა გრაფიკული ტიტრების ეთერში განთავსებისათვისა და ელექტრონული სუფლიორისთვის საჭირო აპარატურისა და კომპიუტერული პროგრამების შესაძლებლობებს;
- კ). ასრულებს რეჟისორის სამსახურებრივი მითითებებს;

**14. სტილისტი:**

- ა). ახორციელებს თმის შეჭრა-დავარცხნას (განსაზღვრავს როგორც სურს შეჭრა მომხმარებელს; ბანს თმას შეჭრამდე; ჭრის თმას (მაგ., სწორხაზოვანი, გრადუირებული, ერთგვაროვანი, პროგრესული; ბანს თმას შეჭრის შემდეგ; ვარცხნის თმას; აძლევს რეკომენდაციას მომხმარებელს);
  - ბ). ვარცხნილობის შექმნა და თმის მოვლა - უსმენს მომხმარებელს, აძლევს მომხმარებელს რჩევებს, აკეთებს ვარცხნილობას, ახვევს თმას; ასწორებს თმას, აძლევს რეკომენდაციას მომხმარებელს, როგორ მოუაროს ვარცხნილობას;
  - გ). პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა - ეცნობა პროფესიულ სიახლეებს (შესაძლებლობის შემთხვევაში ესწრება ტრენინგებს; ეცნობა პროფესიულ ლიტერატურას);
  - დ). სამუშაო ადგილის მოწესრიგება - ცხადდება სამუშაო ადგილზე; აკონტროლებს სამუშაო ადგილის სისუფთავეს; ამოწმებს სამუშაო გარემოს (ელ-ენერგია, ოთახის ტემპერატურა); ამოწმებს ხელსაწყოებს; ასტერილებს ხელსაწყოებს; იწესრიგებს პირად ჰიგიენას და ვიზუალურ მხარეს სამუშაო დღის დაწყებამდე;
- შენიშვნა: ამ ნაწილით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოს შესრულების ვალდებულება დასაქმებულს აქვს მხოლოდ მაუწყებელში დასაქმებული იმ თანამშრომლების მიმართ რომლებიც ვიზუალურად ჩნდებიან დამსაქმებლის ეთერში (ეკრანზე);

**15. გრიმიორი:**

- ა). ახორციელებს მაკიაჟის გაკეთებას (ასუფთავებს სახეს, ადებს ბაზას, არჩევს ტონალურს კანის ტიპის მიხედვით, აკეთებს სახისა და დეკოლტეს კორექციას, ხატავს თვალ-წარბს, აფერადებს დაწვებს, აკეთებს ტუჩის ფორმას);
- ბ). ახორციელებს წარბების გაკეთებას (დეზინფექციას უკეთებს წარბის მიდამოებს, ასტერილებს ხელსაწყოებს, ამორებს წარბს ზედმეტ ღერებს, აკეთებს სასურველი ფორმის მონახაზს (თვალისა და სახის ფორმის მიხედვით), აძლევს წარბს ფორმას, ჭრის არათანაბარ ღერებს, აფიქსირებს წარბს);
- გ). ახორციელებს წამწამების გაკეთებას (ადგენს თვალისა და წამწამის ფორმას/ტიპებს, აგრძელებს წამწამებს, არჩევს წამწამის დიზაინს, ახშირებს წამწამებს, ახვევს წამწამებს, ღებავს ტუშით/საღებავით);

დ). ახორციელებს სამუშაოს ორგანიზებას/აწესრიგებს სამუშაო ადგილს (ამოწმებს სამუშაო გარემოს (ელექტროენერგია, ოთახის ტემპერატურა, წყალი), ამოწმებს სამუშაო იარაღებს, ასტერილებს სამუშაო იარაღებს, ამოწმებს პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთს, ამოწმებს მასალების მარაგს);

ე). მომხმარებელთა კონსულტაცია (ესაუბრება არსებულ სიახლეებზე, უსმენს და აზუსტებს, თუ რა სურს, სთავაზობს მომსახურების შესაძლო ვარიანტებს, თანხმდება ერთად საბოლოო პროცედურასა და შედეგზე, ურჩევს პროდუქციას ინდივიდუალურად, კანის ტიპის შესაბამისად);

შენიშვნა: ამ ნაწილით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოს შესრულების ვალდებულება დასაქმებულს აქვს მხოლოდ მაუწყებელში დასაქმებული იმ თანამშრომლების მიმართ რომლებიც ვიზუალურად ჩნდებიან დასაქმებულის ეთერში (ეკრანზე);

#### **მუხლი 5. განსაკუთრებული დებულებები**

1. სამსახურში მუდმივ ან არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად დადგენილი წესის საფუძველზე შეიძლება მიღებულ იქნენ სხვა პირები;
2. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მაუწყებლის დირექტორი. სამსახურის უფროსის არ ყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში სამსახურს ხელმძღვანელობს სტუდიებისა და მოძრავი სატელევიზიო სადგურის (მსს) უფროსი რეჟისორი;
3. სამსახურში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სამსახური უფლებამოსილი არ არის უარი განაცხადოს ამ დებულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე;
4. ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურის უფროსი შესასრულებელი სამუშაოებს ანაწილებს სამსახურში დასაქმებულ სხვა პირებზე ანდა ასრულებს უშუალოდ;
5. სამსახურში დასაქმებული ყველა პირი ადგენს და სამსახურის უფროსს წარუდგენს ყოველ კვარტალურ ანგარიშს, საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ;
6. სამსახურში დასაქმებულმა პირებმა თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობის ანდა სამსახურში არსებული სხვა ხარვეზების შესახებ წერილობითი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ მაუწყებლის დირექტორს, გონივრულ ვადაში;
7. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე. სამსახურის უფროსი პასუხისმეგებელია სამსახურში დასაქმებული პირების მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებაზე;
8. სამსახური პერიოდულად მაგრამ არანაკლებ ექვს თვეში ერთისა ახორციელებს სამსახურის საქმიანობის ანალიზს და საქმიანობაში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში საბჭოს წარუდგენს მისი გამოსწორების გეგმას;

#### **მუხლი 6. დასკვნითი დებულება**

1. სამსახურის ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე დებულება;
2. სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.